ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი#5

24 მაისი 2022 წელი

ქ.ბაღდათი 11.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: მურად ბურჯანაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გურამ ჩხეიძე
გურამი კიკნაველიძე
გია სახამბერიძე
მაია კბილაშვილი
ნოდარ გიორგიძე
ვლადიმერ წიქორიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის წარმომადგენელი: უჩა გელხვიიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის წარმომადგენელი: ზაურ გაჩეჩილაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი: ვლადიმერ მელაძე

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მრჩეველი საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებში: რამაზ მეფარიშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში: ზანდა ჯიხვაძე-ფაიქიძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: კახა გოგნაძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თ/მოადგილის თანაშემწე: მარიამ მაშანეიშვილი
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვა.

   მომხს. ლერი გუმბერიძე

2. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

   მომხს. ლერი გუმბერიძე

3. “ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

   მომხს. კახა გოგნაძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ მურად ბურჯანაძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვა. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძემ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გურამი კიკნაველიძემ კითხვით მიმართა ლერი გუმბერიძეს, რომ ძველი წლების ნაშთები რაც მოგვყვება რა კეთდება ამ ნაშთების შემთხვევაში

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძემ უპასუხა გურამი კიკნაველიძეს, რომ ნაშთი არის ვალდებულებით ატვირთული და აუტვირთავი ნაშთი არ არსებობს

კომისიის თ/მოადგილე: გურამ ჩხეიძემ განაცხადა,რომ ინვენტარიზაციის ჩატარების საკითხი კვლავ აქტუალურია არ ჩატარებულა და იქნებ მოვხარხოთ ამ მიმართულებით სამუშაოს ჩატარება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი: ვლადიმერ მელაძემ უპასუხა გურამ ჩხეიძეს, რომ ინვენტარიზაციის თემასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა და წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს ინვენტარიზაცია

კომისიის სხდომიდან გავიდა: ვლადიმერ წიქორიძე

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მურად ბურჯანაძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულება მიმოხილვისათვის გადაეგზავნოს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას

კომისიამ გადაწყვიტა: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულება მიმოხილვისათვის გადაეგზავნოს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას

შენიშვნები:

1. შეუსრულებელია I კვარტლის პროგნოზით გათვალისწინებული საგადასახადო შემოსავლები. 1950,0 ათ ლარის ნაცვლად მიღებულია 1724,6 ათ ლარი. ანუ 225,4 ათ ლარით ნაკლები.

   შეუსრულებელია არაფინანსური აქტივების ზრდის პროგნოზები. 2133,7 ათ ლარის ნაცვლად შესრულებულია მხოლოდ 256,2 ათ ლარი. ანუ 1877,5 ათ ლარით ნაკლები. შესაბამისად მიუღებელია გრანტები 1428,9 ათ ლარი. (1582,6 – 153,7)

ხოლო ფინანსური აქტივები 1000,0 ათ ლარის ნაცვლად მიმართულია ხარჯების დასაფინანსებლად 547,7 ათ ლარი, ანუ 447,7 ათ ლარით ნაკლები. ყოველივე აღნიშნული არასწორი პროგნოზის შედეგია.

2. კვარტლის შესრულების მონაცემებში გაანალიზებული არ არის „სხვა საქონელი და მომსახურეობის“ მუხლით გაწეული ხარჯების პროგნოზები. წარმოდგენილია მხოლოდ ფაქტიური ხარჯები.
3. ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების მიმოხილვასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგებით აღნიშნულია, რომ დაუსრულებელია მოსახლეობისთვის გადაცემული სამშენებლო მასალების გამოყენების მდგომარეობა.
4. აუცილებელია მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები ფლობდნენე ინფორმაციას სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო ნუსხის თაობაზე, რათა შესაბამისად აღნიშნული ქონების მოსალოდნელი პრივატიზებიდან შემოსულობები გათვალისწინებული იქნას მუნიციპალიტეტის საანგარიშო წლის ბიუჯეტში.

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე:7 **წინააღმდეგი:0**

საკითხს თან ერთვის დანართი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის I კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიში

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2. კომისიის თავმჯდომარემ მურად ბურჯანაძემ წარმოადგინა საკითხი: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძემ

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მურად ბურჯანაძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მიიღოს კომისიამ და გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:
„ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მიიღო კომისიამ და გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე
კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე:7 **წინააღმდეგი:0**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი3. კომისიის თავმჯდომარემ მურად ბურჯანაძემ წარმოადგინა საკითხი: “ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: კახა გოგნაძემ
კომისიის თავმჯდომარე: მურად ბურჯანაძემ კითხვით მიმართა ლერი გუმბერიძეს თანამშრომლების დამატებისშემთხვევაში სახელფასო ნაწილში ხომ არ დასჭირდება დამატებითი თანხები
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძემ უპასუხა მურად ბურჯანაძეს, რომ სახელფასო ფონდზე არ დასჭირდება თანხის დამატება

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მურად ბურჯანაძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: “ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მიიღოს კომისიამ წარმოდგენილი საკითხი და გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

“ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მიიღო კომისიამ წარმოდგენილი საკითხი და გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე:7 **წინააღმდეგი:0**

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: მურად ბურჯანაძე